სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფინანსური აქტივობების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

26 ნოემბერი, 2018

შინაარსი

I. ზოგადი ინფორმაცია 3
II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები 3
1. შემოსავლები 3
2. ხარჯები 5
III. მონიტორინგის შედეგები 6
1. შემოწირულებების შესწავლა 6
2. დეკლარაციების შესწავლა 6
3. საჩივრების შესწავლა 7

I. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების განმავლობაში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული ხარჯებისა და შემოსავლების, შემოსული საჩივრებისა და მონიტორინგის მიმდინარე შედეგების შესახებ.

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 25-მა სუბიექტმა (19 პარტია და 6 დამოუკიდებელი კანდიდატი), რომლებსაც სამსახურის მოთხოვნით დაუწესდა ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება შემდეგი პერიოდების მიხედვით:

- ივლისის თვის ანგარიში.
- ანგარიში 1 აგვისტოდან 21 აგვისტოს ჩათვლით.
- 22 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.
- 12 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით.
- 3 ოქტომრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით.
- 17 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით.
- პირველ ტურში მონაწილე იმ სუბიექტების ანგარიშები, ვინც
  - გადალახა შესაბამისი ზღვარი და არ მონაწილეობდა მეორე ტურში (15 ნოემბრამდე).
  - ვერ გადალახა ზღვარი და არ მონაწილეობდა მეორე ტურში (14 დეკემბრამდე).
- მეორე ტურის ანგარიშები:
  - 29 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით.
  - 15 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.
- ჯამური პერიოდის საარჩევნო ანგარიშები:
  - 01 აგვისტოდან 14 ნოემბრის ჩათვლით.
  - 01 აგვისტოდან არჩევნების მეორე ტურის შედეგების შეჯამების დღის ჩათვლით (მეორე ტურში მონაწილე სუბიექტები).

სამსახურმა შეიმუშავა მოქმედი რეგულაციებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის შემცველი განცხადება და ინფორმაციის წარმოდგენის დროს შესავსები წერილის ნიმუშები. აღნიშნული განცხადება გამოქვეყნდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე, მედიასაშუალებებში და გაეგზავნა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვებგვერდზე განსათავსებლად.

ამასთანავე, სამსახურმა ყველა საარჩევნო სუბიექტს, საკონსულტაციო მიზნით, გაუგზავნა ძირითადი საკანონმდებლო მოთხოვნების შემცველი წერილები და გავრცელდა ამავე საკითხებზე მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლი.

სამსახურის მოწვევით, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია, რომლის ფარგლებშიც 14 წევრისა და 4 დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა. კომისიის მიერ განხილულ იქნა მიმდინარე პერიოდის დეკლარაციების წარმოდგენისა და ანალიზის საკითხები, მიღებული საჩივრებისა და შემოწირულებების შესწავლის სტატუსები და სხვა.

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები

1. შემოსავლები

საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების ორი ძირითადი წყარო აქვთ: შემოწირულებები და საბიუჯეტო დაფინანსება. ამასთანავე, კვალიფიციურ სუბიექტებს გააჩნიათ მიზნობრივი საარჩევნო დაფინანსება

(არჩევნებში მონაწილეობდა საბიუჯეტო დაფინანსების მქონე 19 კვალიფიციური სუბიექტიდან 16 სუბიექტი), რომელიც განკუთვნილია საარჩევნო უბანსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიის წარმომადგენლების მონაწილეობის ხარჯის და საარჩევნო რეკლამის დაფინანსების მიზნებისთვის.

ჯამში, ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების პირველი ტურის დროს, 1 აგვისტოდან - 28 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მიღებულია 16,299,394 ლარის შემოსავალი, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	მიზნობრივი დაფინანსება	შემოწირულ-ლებები	სხვა შემოსავალი	ჯამური შემოსავალი[1]
1	სალომე ზურაბიშვილი	-	-	5,395,983	1,000,000[2]	6,395,983
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა*	247,932	423,535	718,767	81,106[3]	1,471,939
3	ევროპული საქართველო	259,032	423,535	616,283	-	1,298,850
4	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	150,000	423,535	286,500	-	860,035
5	შენების მოძრაობა	128,049	423,535	35,490	-	587,074
6	მოძრ. თავისუფალი საქართველოსთვის	126,795	423,535	14,000	-	564,330
7	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	118,203	423,535	3,000	-	544,738
8	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია*	94,713	409,506	12,750	-	516,969
9	ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*	94,713	409,506	-	-	504,219
10	ახალი საქართველო*	48,879	402,492	47,000	100[4]	489,471
11	მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის*	48,879	402,492	400	-	451,771
13	თავისუფალი საქართველო	21,756	388,464	34,896	500[5]	445,616
14	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	21,756	388,464	-	900[6]	411,120
15	თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა	21,756	388,464	-	-	410,220
16	ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძ.	21,756	388,464	-	-	410,220
17	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	21,756	388,464	-	-	410,220
	სხვა დანარჩენი	-	-	63,052	-	63,052
	სულ ჯამი	**1,486,380**	**6,510,018**	**7,228,791**	**1,082,606**	**16,299,394**

* ხუთი კვალიფიციური სუბიექტი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია და მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის შედიან გაერთიანებაში „ძალა ერთობაშია“.

სალომე ზურაბიშვილის შემოსავლები, ლარი



ერთ. ნაციონალური მოძრაობის შემოსავლები, ლარი



[1] ცხრილში მითითებულია მხოლოდ ის სუბიექტები, რომელთა შემოსავლები აღემატება 100,000 ლარს.
[2] სს „ქართუ ბანკიდან“ აღებული სესხი.
[3] ოფისის გასხვისება - 77,349 ლარი; თანხის დაბრუნება - 2,850 ლარი; სარგებლის ჩარიცხვა - 907 ლარი.
[4] სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება - 100 ლარი.
[5] თანხის დაბრუნება - 500 ლარი.
[6] თანხის დაბრუნება - 900 ლარი.

პირველი ტურის შემდგომ პერიოდში (29 ოქტომბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით) მეორე ტურში გადასულმა საარჩევნო სუბიექტებმა ჯამში 3,489,303 ლარი მიიღეს შემოწირულების სახით. აქედან, სალომე ზურაბიშვილმა მიიღო დაახლოებით 85% (2,964,704 ლარი), ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 15% (524,599 ლარი).

2. ხარჯები

ჯამში პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ 1 აგვისტოდან 28 ოქტომ-ბრის ჩათვლით პერიოდში დახარჯულია 13,839,319 ლარი, რაც ძირითადად ნაწილდება სატელევიზიო რეკლამებსა და შრომის ანაზღაურებაზე, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	რეკლამის ხარჯი	სატელევიზიო რაკლამის ხარჯი	შრომის ანაზღაურება	ჯამური ხარჯი[7]
1	სალომე ზურაბიშვილი	5,235,606	2,354,382	39,250	6,351,949
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა*	633,245	472,210	340,005	1,133,536
3	ევროპული საქართველო	753,648	174,994	40,809	1,026,784
4	შენების მოძრაობა	8,661	-	477,933	550,863
5	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	277,110	277,110	165,101	531,835
6	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	-	-	458,512	475,159
7	ახალი საქართველო*	3,498	-	352,070	444,072
8	თავისუფალი საქართველო	10,871	-	390,639	435,872
9	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია*	34,762	-	325,485	424,485
10	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	2,500	-	410,412	418,288
11	თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა	430	-	392,394	410,220
12	ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძ.	-	-	396,500	410,000
13	ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*	-	-	370,985	408,769
14	მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის*	-	-	348,405	376,342
15	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	7,675	-	124,648	200,731
16	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	14,427	14,427	56,725	166,744
17	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	0	0	5,500	28,804
	სხვა დანარჩენი	59,794	14,427	2,425,554	2,815,579
	სულ ჯამი	**7,015,469**	**3,293,123**	**4,695,373**	**13,839,319**

* ხუთი კვალიფიციური სუბიექტი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია და მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის შედიან გაერთიანებაში „ძალა ერთობაშია“.

საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული ხარჯების გადამოწმების მიზნით, აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს ხარჯების შედარებას სუბიექტების საბანკო გადარიცხვებთან და მედია მონიტორინგის შედეგებთან.

სალომე ზურაბიშვილის ხარჯები, ლარი



ერთ. ნაციონალური მოძრაობის ხარჯები, ლარი



[7] ცხრილში მითითებულია მხოლოდ ის სუბიექტები, რომელთა ხარჯი აღემატება 100,000 ლარს.

III. მონიტორინგის შედეგები

1. შემოწირულებების შესწავლა

ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული შემოწირულებების შესწავლის პროცესში შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილია ინფორმაცია 576 ფიზიკურ პირზე. შემოსავლების დასაბუთების მიზნით გასაუბრებაზე დამატებითი განმარტებებისთვის მოწვეულ იქნა 31, თუმცა გამოიკითხა 11 პირი. მოწვეული ფიზიკური პირების დიდი ნაწილის იურიდიული მისამართი (რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის ბაზებში) განსხვავდება ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისგან, რაც ხელს უშლის აუდიტის სამსახურს შემოწირულებების შესახებ ინფორმაციის დროულად გადამოწმებაში.

ორ შემთხვევაში განხორციელებული შემოწირულება სამსახურმა მიიჩნია აკრძალულ შემოწირულებად, რადგან თანხის წარმომავლობა ვერ იქნა დასაბუთებული:

1. ლაშა ცუცქირიძე - 10.10.2018 წელს განახორციელა 10,000 ლარის შემოწირულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ.
2. ნიკოლოზ დალაქიშვილი - 24.09.2018 წელს განახორციელა 2,000 ლარის შემოწირულება „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ.

აღნიშნული პირების მიმართ სამსახურის მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შედგენილია ადმინისტრა-ციული სამართალდარღვევის ოქმები. შესაბამისი მასალები გადაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოთხოვნილია კანონით გათვალისწინებული ორმაგი ოდენობის ჯარიმის დაკისრება.

ასევე, შესწავლილ იქნა „ჩაჩავას კლინიკისა“ და „ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ თანამშრომლების მიერ ოქტომბრის დასაწყისში დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, შესაბამისი ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა შემოსავლების სამსახურიდან და საბანკო დაწესებულებებიდან. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად სამსახურმა გასაუბრებაზე მოიწვია 4 ფიზიკური პირი, რომელთაგან 2-მა ფიზიკურმა პირმა წარმოადგინა შემოსავლების დამადასტურებელი ინფორმაცია, ხოლო 2 ფიზიკური პირის მოწვევა იგეგმება ალტერნატიული მისამართების გამოყენებით.

2. დეკლარაციების შესწავლა

სამსახურმა 11-19 ოქტომბრის პერიოდში განახორციელა მონიტორინგი საქართველოს 30 ქალაქში. მონიტორინგის შესაბამისად გამოვლინდა საუკეთესო შედეგის მქონე 3 საარჩევნო სუბიექტის 33 ოფისი, რომლებზეც მიმდინარეობს დამატებითი შესწავლა ხარჯების კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საანგარიშგებო პერიოდში ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან/და არასწორად წარმოდგენის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია 2 საარჩევნო სუბიექტის მიმართ:

1. მპგ „თავისუფალი საქართველო“ - ნაღდი ფულის ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციის წარმო-უდგენლობა, რისთვისაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულია ჯარიმა 2,000 ლარის ოდენობით.
2. დამოუკიდებელი კანდიდატი გიორგი ანდრიაძე - შემოწირულებების მიღების წესისა და თანხის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის წესის დარღვევა, რაც „მოქალაქეთა პოლიტიკური

გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ითვალისწინებს ჯარიმას 1,000 ლარის ოდენობით.

3. საჩივრების შესწავლა

საარჩევნო პერიოდში შემოსული საჩივრებისა და სამსახურის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის შედეგად 11 საქმეზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება:

- დასრულებულია წარმოება 4 საქმეზე, აქედან, 1 საქმეზე შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.
- 7 საქმეზე მიმდინარეობს დამატებითი ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი სამართლებრივი და პროცედურული მოქმედებების გატარება.

3.1 დასრულებულია შესწავლა 4 საქმეზე:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჩივრის საფუძველზე, მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ სააგიტაციო ბროშურების ბეჭდვის შესახებ.

   დაბეჭდილი ბროშურების ღირებულება 15,295 ლარის ოდენობით აუდიტის სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ განხორციელებულ აკრძალულ შემოწირულებად. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სამსახურის მიერ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გადაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოში კანონით განსაზღვრული ორმაგი ოდენობის ჯარიმის დაკისრების მიზნით.

2. მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარზე რამოდენიმე მუნიციპალიტეტის საკრებულოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში აგვისტოს თვეში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

   შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჩივარში მითითებულმა მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა კანონით დადგენილ ვადაში განახორციელეს ცვლილებები და აღნიშნული ფაქტი არ შეიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატით განსაზღვრული საკითხების დარღვევას.

3. „სამართლიანი არჩევნების“ საჩივრის შესაბამისად საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლების მიერ გელათობის დღესასწაულზე თანხის დარიგების ფაქტზე.

   თვითმხილველის გამოკითხვის შედეგად არ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რამაც შეუძლებელი გახადა მოსყიდვის ფაქტის დადასტურება.

4. მედია საშუალებებით არჩევნების დღეს საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს მიერ გავრცელებული სავარაუდო მოსყიდვის ფაქტების შესახებ.

   აღნიშნულთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურის მიერ გამოიკითხა ორგანიზაციის მიერ დასახელებული 4 თვითმხილველი. ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობის გამო შეუძლებელი გახდა მოსყიდვის ფაქტის დადასტურება.

3.2 მიმდინარეობს შესწავლა 7 საქმეზე:

1. „სამართლიანი არჩევნებისა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ სატელევიზიო რეკლამის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე.[8] აღნიშნულთან დაკავშირებით, აუდიტის სამსახურმა გამოითხოვა 14 ოქტომბრამდე პერიოდის მონაცემები საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიიდან. მიღებულ ინფორმაციაზე დამატებითი კითხვების არსებობის გამო სამსახურმა განმეორებით მიმართა კომუნიკაციების კომისიას სრული საარჩევნო პერიოდის ინფორმაციის წარმოდგენის თხოვნით. აუდიტის სამსახური განაგრძობს მიღებული ინფორმაციის შესწავლას.

2. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დაფინანსებული საარჩევნო კვლევის შესახებ. აუდიტის სამსახურმა წერილობით მიმართა პარტიას და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული კვლევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯის, კვლევის საგნისა და მიზნების შესახებ.

3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაცია მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ამბროლაურის შტაბის მიერ ფინანსური რესურსების გამოყენების შესაძლო დარღვევის შესახებ. აუდიტის სამსახურმა წერილობით მიმართა პარტიას დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით.

4. მედიით გავრცელებული და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სამსახურში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე გარდაბანში სხვადასხვა საკვები პროდუქტების დარიგების შესახებ. დამატებითი განმარტებებისთვის სამსახურში მოწვეულია სატელევიზიო სიუჟეტში მონაწილე პირი.

5. „სამართლიანი არჩევნების“ საჩივრისა და მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე სხვადასხვა ორგანიზაციისა და ფიზიკური პირების მიერ მეორე ტურის წინ სააგიტაციო კამპანიის წარმოების შესახებ, კერძოდ:

   - მოძრაობა „არა ნაციზმს“ - რუსთაველის გამზირზე გახსნილი ოფისის ხარჯი და აქტივობები.
   - მოძრაობა „მე ვიცავ თავისუფლებას“ - რეგიონებში ორგანიზებული შეხვედრები.
   - ბილბორდები „არა ნაციზმს, არა ძალადობას“ - დამზადებისა და განთავსების ხარჯი.

   ზემოაღნიშნულ საკითხებზე დამატებითი განმარტებებისთვის მოწვეულნი არიან ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა ფიზიკური პირები.

[8] სატელევიზიო რეკლამების საკითხებზე შემოსულ საჩივრებსა და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს განცხადებაში საუბარი არის 8 პოლიტიკურ პარტიაზე, რომლებიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან/და საწინააღმდეგოდ იყენებდნენ საეთერო დროს. იხ. განცხადებები http://goo.gl/5qpb29 და https://goo.gl/WJk6xw